მცხეთის მუნიციპალიტეტი

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. მცხეთა

2014 წელი

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნიჩბისში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის "სახემწიფო შესყიდვების შესახებ" და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების სესახებ" სახემწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

1.2 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.4 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

2. ტექნიკური დავალება

. შესყიდვის ობიექტი:

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნიჩბისში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა მოცემულია მოცულობათა უწყისში.

. სამუშაოს შესრულების ვადები

სამუშაო უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2014 წლის 30 ოქტომბრისა.

. სამუშაოს შესრულების ადგილი:

სოფ. ნიჩბისი.

3. სამშენებლო სამუშაოების ჩატარების ტექნიკური პირობები:

1. შესრულებული სამუშაო უნდა იყოს ხარისხიანი და მიმწოდებლის მხრიდან უნდა გავრცელდეს საგარანტიო ვადა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 წელი, რომლის დროსაც ექსპლუატაციის პირობებში მიღებული (არა მექანიკური) დაზიანებების აღმოფხვრა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი სახსრებით;

2. სამუშაოს შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია, საჭიროებისამებრ, მოითხოვოს შესაბამისი სერტიფიკატი მშენებლობის პროცესში გამოყენებულ მასალებსა და მოწყობილობებზე;

3. მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით

4. სატენდერო წინადადებაში ერთეულისა და საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს მხოლოდ ლარებში, შეიცავდეს სამშენებლო სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებულ ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, საავტორო ზედამხედველობის, ექსპერტიზის ხარჯებს და ასევე დღგ-ს.

5. პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება

6. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის და ფორმა N2-ს წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში.

7. გადახდის წინასწარი მექანიზმი არ გამოიყენება.

8. საბოლოო მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიური დანახარჯების მიხედვით, მხოლოდ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, რომლითაც დგინდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციასთან (თანდართულ ნახაზებთან, ესკიზებთან და სპეციფიკაციებთან) და მისი ღირებულება;

ექსპერტიზის თანხა გადახდილი იქნება მიმწოდებლის მიერ.

9. შემსყიდველი უფლებამოსილია მოიწვიოს პროექტის ავტორი და განახორციელოს მშენებლობაზე საავტორო ზედამხედველობა. საავტორო ზედამხედველობის თანხა გადახდილი იქნება მიმწოდებლის მიერ.

10. წინადადების წარდგენის დღისათვის მიმწოდებელი არ უნდა იყოს რეგისტრირებული შავ სიაში.

11. პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დანტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის I პუნქტის „ჟ“, „რ“ და „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

12. მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემსყიდველი ორგანიზაციისაგან, მის მიერ შესრულებული ანალოგიური სამშენებლო სამუშაოების შესახებ არანაკლებ 2 დადებითი რეკომენდაცია, რეკომენდაციაში უნდა იყოს მითითებული, თუ რამდენად ხარისხიანად, სრულად და დროულად შეასრულა მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. ამასთან, თითოეული ასეთი შესრულებული სამუშაოს ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 20 000 ლარისა;

13. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სატენდერო წინადადება შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომლის შემდგომი წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას და არ მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე. პრეტენდენტმა აღნიშნული დაზუსტება უნდა წაროადგინოს შემსყიდველის მიერ შეტყობინების გაგზავნიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღეში.

14. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

15. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამარჯვებულმა მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ბანკის მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით. აღნიშნული საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმებამდე და მისი მოქმედების ვადა სულ მცირე 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

16. გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 20%-ზე მეტი სხვაობის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ამ ფასად მიწოდების შესაძლებლობა. სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის ჩატარება ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, რაზეც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა. ზემოხსენებული დასაბუთების ან/და ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა გამოიწვევს შესაბამისი მიმწოდებლის დისკვალიფიკაციას;

17. შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფორმა N2-ს წარმოდგენის შემდეგ არ აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება არაუმეტეს 20 %-სა და ანგარიშსწორება მოახდინოს ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

18. სამუშაოებში გამოყენებულ მასალებზე უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N73 დადგენილების შესაბამისად გაცემული ლაბორატორიული დასკვნა.

4. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო დოკუმენტები:

ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

ბ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

გ) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

შენიშვნა: საკვალიფიკაციო მოთხოვნები ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც (მათი არსებობის შემთხვევაში

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებული დოკუმენტები შესაბამისი ორგანოებიდან გაცემული უნდა იყოს 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ N9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, (ტენდერის გამოცხადების ეტაპი), ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს წინადადების მიღების ეტაპის დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი კალენდარული დღისა. აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი იყოს შემსყიდველ ორგანიზაციაში შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა. არარეზიდენტმა პრეტედენტებმა შესაბამისი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ გაცემული თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან, რომლებიც თარგმნილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ნოტარიულად დამოწმებული. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ ექვემდებარება შემდგომ დაზუსტებას.

5. პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) დანართი №1 კომპანიის (რეკვიზიტები), ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ;

ბ) ხარჯთაღრიცხვა, ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ;

გ) სამუშაოს შესრულების ვადები გეგმა-გრაფიკის სახით;

დ) შემსყიდველი ორგანიზაციებიდან შესრულებული ანალოგიური სამშენებლო სამუშაოების შესახებ არანაკლებ 2 დადებითი რეკომენდაცია, რეკომენდაციაში უნდა იყოს მითითებული, თუ რამდენად ხარისხიანად, სრულად და დროულად შეასრულა მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. ამასთან, თითოეული ასეთი შესრულებული სამუშაოს ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 20 000 ლარისა;

ე) ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ შესრულებული მსგავსი (ანალოგიური) ტიპის სამუშაოების განხორციელების გამოცდილების შესახებ (ხელშეკრულების ქსეროასლებით).

6. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისგან: გიორგი პაპაშვილი ტელ: 2512696

7. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო——— ——————— 20---წ.

ერთის მხრივ

მცხეთის მუნიციპალიტეტი ——————————————————————————

(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ

——————————————————————————————————————

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

(შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი

——————————————————————————————————————

შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა

შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნიჩბისში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები CPV 45231300, შემდეგ თანხაზე:

——————————————————————————————————————

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5„დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

მუხლი3. სამუშაოების შესრულების ვადა და ადგილი

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით განსაზღვრული სამუშაოები დაასრულოს 2014 წლის 30 ოქტომბერს.

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია სოფ. ნიჩბისი.

მუხლი 4. გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოები შესრულებული იქნება ხარისხიანად, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, ობიექტზე გამოყენებული პროდუქციის ვარგისიანობაზე წარმოადგენს შესაბამისობის სერთიფიკატს.

4.2 სამუშაოების დასრულებიდან 2 წლის განმავლობაში იძლევა გარანტიას, საკუთარი სახსრებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ნებისნიერი გამოვლენილი წუნი თუ დეფექტი.

4.3 სამუშაოების დასრულების შემდგომ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე მიმწოდებელი წარმოადგენს საგარნტიო წერილს.

4.4 საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში მიმწოდებლის მიზეზით წარმოქმნილი ხარვეზები.

4.5 თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია გაფრთხილებიდან 30 (ოცდაათი) დღის ამოწურვის შემდეგ მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

მუხლი 5 . ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან. ამასთანავე , მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველთან მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი მასალების ხარისხი.

5.2 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე (შექმნილი/დანიშნული) პირი/პირები.

5.3 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს შემსყიდველი (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის

(ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
5.5 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5.6 მიმწოდებელმა სამუშაოების წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი.
5.7 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოების შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოების წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

მუხლი 6. ანგარიშსწორება
6.1 ანგარიშწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).
6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით , მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად გადახდის გზით/ ან ერთჯერადად, მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე წარმოდგენილი შესაბამისი ფორმა №2 -ების საფუძველზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად 15 საბანკო დღის განმავლობაში.
6.4 შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფორმა N2-ის წარმოდგენის შემდეგ არ აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება არაუმეტეს 20%-ისა.
6.5 დარჩენილი 20%-ის ანაზღაურება მოხდეს სამუშაოს დასრულების შემდეგ მიმწოდებლის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
7.1 სამუშაოს მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულების შემდგომ, შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ფორმა № 2 , ფარული სამუშაოების ჩატარების აქტი (ფარული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში) და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის მიერ გცემული დასკვნა, რომლითაც დგინდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციასთან. (თანდართულ ნახაზებთან, ესკიზებთან და სპეციფიკებთან) .
7.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ორივე მხარის უფლებამოსილი პირების დასწრებით, მათ მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
7.2 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლზე, ტექნიკურ ზედამედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება_ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახური. უფროსი ილია ოდიშელიძე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით 5 სამუშაო დღით ადრე შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის „ მე-20 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.5 საქართველოს სამოქალაქო კოდქსისი 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელი თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მხრეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

9.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ს.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 10.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან/და არაჯეროვან ასრულებს ამ ხელშეკრულებით მის მიერ ნაკისრი ვალდებულებებს, მათ შორის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში, რაც დადასტურდება შემსყიდველის მიერ შესრულებული სამუშაოების დარღვევად და შესაძლებელია შემსყიდველის მიერ ეს განხილული იქნეს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლად.

9.6 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.7 როგორც შემსყიდველისათვის ისევე მიმწოდებლისათვის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა არ ჩაითვლება იმ დღეების რაოდენობა, რომელიც ექსპერტს დასჭირდება დასკვნის გასაცემად.

10. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

10.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

10.2 შემსყიდველი ვალდებულია :

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შესრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ)ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება, წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად.

დ) წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

10.3 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

ბ) ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს;

გ) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია;

10.4 მიმწიდებელი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოების მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში;

გ)სამუშაოების შესრულების პროცესში შემსყიდველის შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები ან/და შეცვალოს უხარისხო მასალა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე:

დ) მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების პროცესში უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოებს და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;

ე) სამუშაოების დასრულებიდან 2 წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვა ნებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება , რიმ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანება, დეფექტი) გამოწვეულია მისი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული ნებისნიერი გამოვლენილი წუნი თუ დეფექტი.

ვ) მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

მუხლი 11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი
12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მომწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს,რათა მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 14. გამოყენებული სამართალი

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 15. შეტყობინება

15.1 მხარეთა შორის მიმოწერა ხორციელდება ქართულ ენაზე.
15.2 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
15.3 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16 . ხელშეკრულების შესრულების გარანტია

16.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს უპირობო საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს ულებას გარანტიის გამცემი დაწესებულებისაგან პირველი მოთხოვნისთანავე მიიღოს შესაბამისი თანხა.

16.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენების შემთხვევაში.

16.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტიის ფარგლებში, შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის გათვალისწინებით.

16.4 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია დაუბრუნდება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

16.5 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ფორს-მაჟორული) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

მუხლი 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 ხელშეკრულება შედგენილია 5 (ხუთ) ეგზემპლარად , 5 (ხუთივეს) აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთა, ერთი პირი მიმწოდებელთა, ხოლო ოთხი პირი შემსყიდველთან.

17.2 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სამუშაოს მიწოდების დასრულებიდან მინიმუმ ერთი თვის განმავლობაში.

17.3 ხელშკრულების მე-4 მუხლის 4.2,4.4,4.5 პუნქტები ძალაშია სამუშაოების მთლიანი საგარანტიო ვადის განმავლობაში.

17.4 ხელშკრულების 11.4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ძალაშია მიღება_ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში.

17.5 ხელშეკრულებას თან ერთვის და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს:

17.5.1 ტექნიკური პირობა;

17.5.2 სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი.

17.5.3 სატენდერო წინადადება.

17.5.4 ხარჯთაღრიცხვა.

17.5.5 ხელშეკრულების შესრულების გარანტია.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
---	---

დანართი №1

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

პრეტენდენტის ხელმოწერა ----------